




სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

 ნოე ქაშიბაძე

20 იანვარი 2016 წელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდი

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N 1/36

2013 წლის 1 იანვარი - 2015 წლის 1 იანვარი

შინაარსი

დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე	3
საქმიანობის აღწერა	5
პირობითი მოსაზრების საფუძვლები	5
პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე	10

დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან (შემდეგში „სარეზერვო ფონდი“) 2013 - 2014 წლებში მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით თანხების გამოყოფის (ხარჯვის) კანონიერების, მიზნობრიობის აუდიტი.

შესაბამისობის აუდიტის მიზანი

შესაბამისობის აუდიტის მიზანია, აუდიტორმა გამოიტანოს დასკვნა „სარეზერვო ფონდიდან“ თანხების გამოყოფის (ხარჯვის) კანონიერების, მიზნობრიობის კუთხით განხორციელებული საქმიანობა რამდენად შესაბამისობაშია:

- კანონმდებლობასთან
- მარეგულირებელ ნორმებთან
- სახელშეკრულებო მოთხოვნებთან
- შიდა ორგანიზაციულ პოლიტიკასა და პროცედურებთან

აუდიტის მიზანს წარმოადგენდა, „სარეზერვო ფონდიდან“ თანხების გამოყოფის (ხარჯვის) კანონიერების, მიზნობრიობის კუთხით განხორციელებული საქმიანობის არსებითი გავლენის მქონე საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენა, მათ შორის:

- საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ 2013 – 2014 წლების კანონები;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2005 წლის 22 თებერვლის №11 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის შექმნის შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2014 წლის 17 თებერვლის №69 ბრძანება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატში რისკების მინიმუმამდე შემცირების მიზნით ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“¹;
- საქართველოს პერზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“;

¹ მოქმედებდა 2013 წლის 1 იანვრამდე

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერი №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის N 605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესახებ;

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა 2013-2014 წლებში გაწეული საქმიანობა:

- „სარეზერვო ფონდის“ 2013 და 2014 წლების ბიუჯეტების პროექტების მომზადება, განხილვა და დამტკიცება;
- ნორმატიული აქტებით „სარეზერვო ფონდიდან“ თანხების გამოყოფის (ხარჯვის) კანონიერების, მიზნობრიობის კუთხით განხორციელებული საქმიანობის მდგომარეობა;

აუდიტორის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც ანალიზის, რისკების ან ნაკლოვანების სახით გამოვლენილი იქნება განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომ გამოირიცხოს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეული არსებითი კანონშეუსაბამობები.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება 2013 - 2014 წლებში „სარეზერვო ფონდიდან“ თანხების გამოყოფის (ხარჯვის) კანონიერების, მიზნობრიობის კუთხით განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4100) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა „სარეზერვო ფონდიდან“ თანხების გამოყოფის

(ხარჯვის) კანონიერების, მიზნობრიობის კუთხით 2013 - 2014 წლებში გაწეული საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

საქმიანობის აღწერა

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად² ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გათვალისწინებული გადასახდელების დასაფინანსებლად იქმნება სარეზერვო ფონდი, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს.

სარეზერვო ფონდიდან თანხებს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, გამოყოფს შესაბამისი საფინანსო ორგანო.

სარეზერვო ფონდის ათვისებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და შესაბამისი დასკვნისა და სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება წარმოადგენდა მთავრობის აპარატის სტრუქტურული ერთეულის - „აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებთან ურთიერთობისა და სოციალურ საკითხთა დეპარტამენტის“ ფუნქციას³.

შესაბამისად, „სარეზერვო ფონდიდან“ თანხების გამოყოფის (ხარჯვის) კანონიერების, მიზნობრიობის კუთხით 2013 - 2014 წლებში გაწეული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობას ძირითადად უზრუნველყოფდა ზემოაღნიშნული დეპარტამენტი. გარდა ამისა, დეპარტამენტის ფუნქციებში შედიოდა მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრების, წინადადებების განხილვა და მათზე რეაგირება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში⁴.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია განხორციელებული საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

სოციალური (მატერიალური) დახმარებისათვის გამოყოფილი თანხების შესახებ

აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სხვადასხვა სახის მკურნალობისათვის, სოციალური პრობლემების და სხვა გარემოებების (სწავლების დაფინანსება, გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ღონისძიებების ჩასატარებლად და სხვა.) გამო, მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით გამოყოფილი თანხები შეადგენდა:

² საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 90-ე მუხლი;

³ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2005 წლის 22 თებერვლის №11 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის შექმნის შესახებ“ მუხლი 7, პუნქტი მე-3, ქვეპუნქტი „ბ“;

⁴ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2005 წლის 22 თებერვლის №11 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის შექმნის შესახებ“ მუხლი 7, პუნქტი მე-3, ქვეპუნქტი „რ“.

წელი	საერთო გამოყოფი ლი თანხის ოდენობა (საკასო)	მკურნალობისთვის		სოციალური პრობლემების გამო		სხვა სახის გარემოებების გამო (გარდაცვალება სწავლება და სხვ.)		სხვადასხვა ლონისძიებები	
		ბრძანება	გამოყოფილი თანხა	ბრძანება	გამოყოფილი თანხა	ბრძანება	გამოყოფ ილი თანხა	ბრძანება	გამოყოფ ილი თანხა
1	2	3		4		5		6	
2013	139500,66	234	51900,00	74	21850,00	21	10 900,00	14	54850.66
2014	225915,74	223	55857,00	168	38150,00	28	16300.00	30	115608.74
ჯამი	365416,40	457	107757,00	242	60000,00	49	27200.00	44	170459.40

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდი იქმნება ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად⁵, 2013-2014 წლებში აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის 240 ბრძანების საფუძველზე მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მაინც გაიცა 52,800.00 ლარი ისეთი გადასახდელებისათვის (სოციალური-მატერიალური დახმარებები), რომლებიც გათვალისწინებული იყო 2013-2014 წლების რესპუბლიკურ ბიუჯეტში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობების ასიგნებებში. მათ შორის მთავრობის აპარატიდან აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობებისათვის განსახილველად და შემდგომი რეაგირებისათვის განცხადებები (ინფორმაცია) გადაგზავნილია 43 შემთხვევაში, ხოლო 197 შემთხვევაში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობებისათვის არანაირი ინფორმაცია არ გადაგზავნილა. 2013-2014 წლებში ფიზიკური პირებიდან მატერიალური დახმარების გაწევის მოთხოვნით შემოსული კორესპონდენციის (განცხადება, განცხადება-შუამდგომლობა) შესწავლით სარეზერვო ფონდიდან თანხების გაცემა შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

⁵ საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 90-ე მუხლი; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ 2013 – 2014 წლების კანონები, მუხლი 14;

წელი	დაფინანსების მოთხოვნით შემოსული განცხადებები		
	რაოდენობა	დაფინანსდა	არ დაფინანსდა
1	2	3	4
2013	757	343	414
2014	913	449	464
ჯამი	1670	792	878

როგორც ირკვევა 1670 განცხადებიდან სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა 792 შემთხვევა, ხოლო 865 შემთხვევაში განმცხადებლების (ფიზიკური პირების) განცხადებები გადაიგზავნა განსახილველად აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობებში და სხვადასხვა დაწესებულებებში (სამინისტროებში, დეპარტამენტებში და სხვ.).

სხვადასხვა ღონისძიებებისათვის (დანიშნულებით) გამოყოფილი თანხების შესახებ

აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობაზე სხვადასხვა სახის მკურნალობისათვის, სოციალური (მატერიალური) დახმარებისათვის აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების გაცემის გარდა, აუდიტის პერიოდში ადგილი ჰქონდა სხვადასხვა ღონისძიებებისათვის (დანიშნულებით) თანხების გამოყოფას. კერძოდ:

თანხა -ლარი;

წელი	სულ ჯამში სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხის ოდენობა (საკასო)	ღონისძიებებზე		%(3/2)
		ბრძანება	გამოყოფილი თანხა	
1	2	3		4
2013	139500,7	13	54850,66	39%
2014	225915,7	27	115608,74	51%
ჯამი	365416,40	40	170459,40	47%

აღნიშნული ღონისძიებების და იურიდიული პირების დაფინანსებასთან დაკავშირებული აუდიტის ობიექტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მიღებული ინფორმაციით სარეზერვო ფონდიდან გაცემული თანხების ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების მოთხოვნა (წარმოდგენა) შემდეგი სახისაა:

წელი	მოთხოვნილია და წარმოდგენილია		არ არის მოთხოვნილი და წარმოდგენილი	
	ერთეული	თანხა	ერთეული	თანხა
1	2		3	
2013	2	10008,00	11	44842,66
2014	16	80142,75	11	35466,00
ჯამი	18	90150,75	22	80308,66

აუდიტის ობიექტიდან მიღებული ინფორმაციით დადგინდა, რომ 2013-2014 წლებში 18 შემთხვევაში (90 150,75 ლარზე) შესაბამისი ბრძანებებით გამოყოფილი (გახარჯული) თანხების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის მოთხოვნა ხდებოდა ბრძანებაზე მომუშავე დეპარტამენტების ინიცირების საფუძველზე მათი შეხედულებისამებრ. ასე მაგალითად, აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 12 დეკემბრის N466 ბრძანების საფუძველზე, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს, ბავშვთა ქალაქ მზიურის ტერიტორიაზე მდებარე „ქვების პარკში“ ქართველთა და აფხაზთა მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების უკვდავსაყოფად აფხაზეთის ქვის დამონტაჟების მიზნით, სარეზერვო ფონდიდან გადაერიცხა 4,800.00 ლარი და მოეთხოვა გახარჯული თანხის ანგარიშის წარმოდგენა, რაზეც წარმოდგენილი იყო შესაბამისი დოკუმენტაცია. (სამინისტროსა და ი/მ გოჩა ჭელიძე-ს შორის 24.12.2013 წლის მიღება-ჩაბარების აქტი N897 - მემორიალურ ქვაზე კვეთისა და ქვის სამუშაოების შესრულების შესახებ თანხით - 2,500.00 ლარი; შპს „მატკოს“ ანგარიშგაქტურა და მიღება - ჩაბარების აქტი N898 ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებით თანხით - 2,500.00 ლარი). აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 20 მარტის N147 ბრძანების საფუძველზე, აფხაზეთის ა/რ დევნილთა საქმეების დეპარტამენტს დევნილი ბავშვების ესპანეთში გამგზავრებასთან დაკავშირებით, სარეზერვო ფონდიდან გადაერიცხა 8,490.00 ლარი და მოეთხოვა გახარჯული თანხის ანგარიშის წარმოდგენა, რაზეც დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი იყო 5,914.72 ლარის გახარჯული თანხის შესაბამისი დოკუმენტაცია, ხოლო გაუხარჯავი თანხა 2,575,28 ლარის ოდენობით დაბრუნდა ბიუჯეტში. ამრიგად, მსგავსი ფორმით იყო წარმოდგენილი დანარჩენ 16 შემთხვევაშიც ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

2013-2014 წლებში 22 შემთხვევაში (80 308,66 ლარზე) ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი არ ყოფილა. ასე მაგალითად, 2013 წლის 04 ოქტომბერს N77 წერილით აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარეს ფინანსური დახმარების აღმოჩენის თხოვნით მიმართა შპს საფეხბურთო კლუბმა „დინამო სოხუმმა“ სადაც დანართში კლუბის

მიერ გასაწევ გადაუდებელ ხარჯებს წარმოადგენდა სპორტკომპლექსის არენდა (2,000.00 ლარი), ფეხბურთის ფედერაციის საწევროს გადასახადი (1,000.00 ლარი) და სპორტული ატრიბუტიკის შეძენა (2,000.00 ლარი). შესაბამისად აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 24 ოქტომბრის N341 ბრძანების საფუძველზე, შპს საფეხბურთო კლუბი „დინამო სოხუმის“ დაფინანსების მიზნით, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს, სარეზერვო ფონდიდან გადაერიცხა 5,000.00 ლარი, რაზეც გახარჯული თანხის ანგარიშის წარმოდგენის მოთხოვნა არ ყოფილა და აუდიტის ობიექტიდან მიღებული ცნობით შესაბამისად ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები აფხაზეთის ა/რ მთავრობის აპარატში არ არის წარმოდგენილი.

2014 წლის 23 აპრილის 04/002 წერილით აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარეს ფინანსური დახმარების აღმოჩენის თხოვნით მიმართა საკალათბურთო კლუბმა „სოხუმმა“. წერილში ნახსენებია გუნდის 2011-2013 წლების წარმატებების შესახებ და აღწერილია ის ფაქტი, რომ კლუბში მიმდინარე ფინანსური კრიზისიდან გამომდინარე კალათბურთელებსა და მწვრთნელებს არ ჰქონდათ მიღებული 7 თვის ხელფასი, შესაბამისად კლუბის მთავარი მწვრთნელი და დირექტორი ითხოვს ერთი თვის სახელფასო დავალიანების (61,261.00 ლარი) გასტუმრებისთვის ფინანსურ დახმარებას. წერილში მითითებულია ააიპ საკალათბურთო კლუბ „სოხუმის“ რეკვიზიტები: საიდენტიფიკაციო კოდი - 405040003 და საბანკო ანგარიშის ნომერი GE19BG0000000812167500. შესაბამისად აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 30 აპრილის N210 ბრძანების საფუძველზე, ააიპ საკალათბურთო კლუბ „სოხუმისათვის“ ფინანსური დახმარების გაწევის მიზნით, სსიპ აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრს, სარეზერვო ფონდიდან გადაერიცხა 30,000.00 ლარი, რაზეც გახარჯული თანხის ანგარიშის წარმოდგენის მოთხოვნა არ ყოფილა, შესაბამისად ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტებიც აფხაზეთის ა/რ მთავრობის აპარატში არ არის წარმოდგენილი. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბაზიდან მოპოვებული ამონაწერით დადგინდა, რომ ააიპ საკალათბურთო კლუბი „სოხუმი“ დაჩქარებული წესით დარეგისტრირდა 2014 წლის 23 აპრილს. ასევე აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო სააგენტო Worldsport.ge-მ 2014 წლის 9 მარტს გამოაქვეყნა სტატია, სადაც შპს საკალათბურთო კლუბი „სოხუმი“ მიმდინარე პრობლემების გამო ითხოვს შველას და თანხის გადმორიცხვას საბანკო ანგარიშზე GE41BG0000000872265200. საჯარო რეესტრის მონაცემებით შპს საკალათბურთო კლუბი „სოხუმის“ საიდენტიფიკაციო კოდი არის: 205289677, ხოლო სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი 2009 წლის 13 ოქტომბერი. ამრიგად, მსგავსად ზემოაღნიშნულისა, დანარჩენ 20 შემთხვევაშიც არ იყო წარმოდგენილი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შესაბამისად, ვინაიდან აუდიტის ობიექტს 22 შემთხვევაში არ გააჩნდა სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების (80 308,66 ლარის) ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, აუდიტის ჯგუფს მიმდინარე აუდიტის ფარგლებში არ მიეცა შესაძლებლობა მოეპოვებინა სათანადო რწმუნება 80 308,66 ლარის ხარჯვის მიზნობრიობაზე.

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აზრად აღწერილი საკითხების გარდა, „სარეზერვო ფონდიდან“ თანხების გამოყოფის (ხარჯვის) კანონიერების, მიზნობრიობის კუთხით 2013 - 2014 წლებში გაწეული საქმიანობა, ყველა არსებით ასპექტში შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

დასკვნის საფუძვლებში წარმოდგენილი საკითხების გარდა გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ გარემოებებზე:

სარეზერვო ფონდისა და თანხების გამოყოფის (ხარჯვის) ზოგადი წესის შესახებ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის და 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტებით გათვალისწინებული მთავრობის სარეზერვო ფონდის ათვისება შეადგენდა:

თანხა -ლარი;

წელი	წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდი	გამოცემული ბრძანების რაოდენობა	გამოყოფილი თანხის ოდენობა	საკასო შესრულება	% (5/2)
1	2	3	4	5	6
2013	220000,00	343	141601,00	139500,66	63%
2014	240000,00	449	231731,00	225915,74	94%
ჯამი	460000,00	792	373332,00	365416,4	79%

„სარეზერვო ფონდიდან“ თანხების გამოყოფასთან (განკარგვასთან) დაკავშირებით, რომელიც ძირითადად შეეხებოდა აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობაზე მატერიალური დახმარების გაცემას და სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსებას, აფხაზეთის მთავრობაში შესაბამისი ბრძანებით შემუშავებული კონტროლის მექანიზმი⁶ ზოგადი ხასიათისაა. მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ აღნიშნულ მექანიზმში წარმოდგენილია მხოლოდ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთათვის მატერიალური დახმარების შემთხვევები და არაფერია ნათქვამი სხვადასხვა ღონისძიებების

⁶ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2014 წლის 17 თებერვლის №69 ბრძანება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატში რისკების მინიმუმამდე შემცირების მიზნით ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დამტკიცების შესახებ“;


დაფინანსების შემთხვევებზე. ამასთან, სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფასთან (განკარგვასთან) დაკავშირებით ცალკე გაწერილი წესის შემუშავება, რისი პრეცედენტიც არის საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაში⁷, უფრო მეტი გამჭვირვალობის, მიზნობრივად ხარჯვისა და სრულყოფილი კონტროლის (ანგარიშგების) საფუძველი გახდება.

აუდიტის ჯგუფი:

უფროსი აუდიტორი

აუდიტორ - ასისტენტი

20 .01. 2016 წელი



ბონდო გასვიანი

ეთერი კაცაძე

⁷ საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 9 ოქტომბრის №412 ბრძანებულება „საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის განკარგვის პროცესში საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“